საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11764/01
11/12/2020

11764-01-2-202012111206

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 8 სექტემბერს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N14197 განცხადება, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ 5+530-ზე მდ. ვახაზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ ჰიდროლოგიური ანგარიშის (დანართი 5) ნაწილში. ცხრილი 3.3-ში მოცემულია მდინარის სხვადასხვა უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯები, სადაც 1%-იან უზრუნველყოფის დროს წყლის ხარჯი 88,1 $მ^3$/წმ - ის ტოლია, 2% - 65,3 $მ^3$/წმ და 10 % - 30,4 $მ^3$/წმ. ამავე დანართის 22-ე გვერდზე, წყლის საანგარიშო ხარჯების ცხრილში, წყლის 1% უზრუნველყოფის ხარჯი მოცემულია - 85 $მ^3$/წმ, 2% - 70 $მ^3$/წმ და 10 % - 62 $მ^3$/წმ. ასევე, კალაპოტის საერთო წარეცხვის ანგარიშის ცხრილში საანგარიშო ხარჯად აღებულია - 86,68 $მ^3$/წმ. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში მოცემული წყლის საანგარიშო ხარჯის გამოსათვლელ ფორმულაში, წარმოდგენილი მონაცემების გაანგარიშების მიხედვით, მიღებულია ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა (კერძოდ (1%-იანი უზრუნველყოფის) წყლის საანგარიშო ხარჯი 109.7 $მ^3$). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წყლის საანგარიშო ხარჯების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს და დაზუსტებას საჭიროებს მდინარეს ვახას კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური მნიშვნელობა და ადგილობრივი წარეცხვის სიდიდე;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ბურჯებსა და საყრდენი კედლების წინ გათვალისწინებულია რენოს მოქნილი ლეიბის მოწყობა. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ლეიბის ფუნქცია, ინფორმაცია მისი მოწყობის შესახებ და რამდენად გამძლე იქნება კონსტრუქცია წყალდიდობების შემთხვევაში, ვინაიდან ნახაზი 2-ის

(საპროექტო ხიდის განივი კვეთი) მიხედვით, აღნიშნული ლეიბები არაფერზე არ არის დამაგრებული.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე